23 ნოემბერს აღინიშნა გიორგობა — გიორგობით!

საგარეჯოს მაცნე

საგარეჯო

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №22(36) 2012 წ. 16-30 ნოემბერი ფასი 50 თეთრი

ბოჭორმის წმინდა გიორგი

1800 წელს გიორგი XII ტფილისელ გაბრიელ ოქრომჭედელს თელავში ბოჭორმის წმინდა გიორგის ხატის პერანგს აახლებინებდა. ეს ხატი თელავში, წმინდა ქეთევან დედოფლის ეკლესიაში ესვენა და მისი მეოხებით სნეულნი და ეშმაკეულნი იკურნებოდნენ. მკერდზე ვერცხლი აჰყარეს და გამოჩნდა წმინდა მთავარმოწამე გიორგის მკლავი. მანამდე არავინ იცოდა, რომ იგი ხატში ესვენა. როცა ხატის გაახლება დაასრულეს და წმინდა ნაწილი ისევ ხატში, ძველ ადგილას ჩააბრძანეს, „ჟამსა ამასვე მოეფინა მშვიდობა საქართველოსა ზედა“.

ბოჭორმის წმინდა გიორგის ეკლესია მდინარე ივრის მარცხენა ნაპირას, მაღალ მთაზე მდებარე ბოჭორმის ციხის შიდა ეზოში დგას. ეკლესია თარიღდება X საუკუნით.

ქართველებმა თქმა იციან: „ისეთი ლამაზია, ბოჭორმის წმიდა გიორგის ხატს ჰგავსო“.

ლოცვა:

ტყვეთა განმათავისუფლებელო და გლახაკთა ხელის აღმპყრობელო, სნეულთა მკურნალო და მეფეთა უძლეველო წინამბრძოლო, ღვაწლით შემოსილო დიდო მოწამეო გიორგი, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის.

ამინ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციული თათბირები (20 და 27 ნოემბერს) ჩაატარა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბიორგი ლოლაძემ, სადაც მიმოიხილეს ის პრობლემები, რომლებიც ქალაქისა და სოფლების მოსახლეობის ყოველდღიურობაში უარყოფით ემოციებად აისახება. კონკრეტულად, საუბარი შეეხო მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების სფეროში შექმნილ სიტუაციას. გაირკვა, რომ სასმელი წყლის რაოდენობა არ ჰყოფნის მთელი რიგი სოფლების მოსახლეობას, რის მიზეზადაც დასახელდა შემოდგომაზე (და გაზაფხულზეც იქნება ასეთი სიტუაცია) წყლის დებეტის შემცირება. ამასთან, მოისმინეს ზოგიერთი სოფლის რწმუნებულის ზეპირი ინფორმაცია სასმელი წყლის მილების დაზიანების შესახებ.

თათბითზე დაისახა ღონისძიებები სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგების გრაფიკის დაცვისა და დაზიანებული სასმელი წყლის მილების შეცვლის თაობაზე.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი

სოფელი

დიდი ჩაილური

ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესია

ჩაილურს გარე კახეთის ერთ-ერთ ულამაზეს და ეკონომიურად მძლავრ სოფელს საგარეჯოს რაიონში თავისი ხელწერა აქვს. იგი მანავთან და კაკაბეთთან ერთად მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების მძლავრ კერას წარმოადგენს. ამ სოფელს თავისი სახელოვანი წარსულით დიდი ისტორიაც შეუქმნია და დღევანდლამდე მოუტანია. თუმცა თავისი არსებობის გრძელ მანძილზე გამანადგურებელი ბრძოლებიც გადაუტანია. მის უბე-კალთებზე დღემდე შემორჩენილი თავდაცვითი, საფორტიფიკაციო ციხე-სიმაგრეების დიდებული ნაშთები მისი უტყუარი ისტორიის მაუწყებელი არიან.

სოფელ ჩაილურს შუაზე ჩამოუდის და ამ მადლიან სოფელს შუაზე დიდ და პატარა ჩაილურად ჰყოფს დიდი და წყალუხვი ხეობა, რომელსაც ხალხი „მღვრიეს“ ეძახის, ისე კი ჩაილურის წყლის სახელწოდებითაც არის ცნობილი.

როცა ქართულმა ფოლკლორმა შექმნა ხატოვანი გამოთქმა ამა თუ იმ საქმე თუ მოვლენამ კრახი განიცადა, ხელჩაქნეული კაცი ამ საქმეზე იტყვის ხოლმე: „ჩაილურიუს წყალი დალიაო“ და წერტილს უსვამენ საქმის უაზრო გაგრძელებას. ეს ხატოვანი გამოთქმაც ისტორიის კუთვნილებაა.

თვით ტოპონიმ ჩაილურის სემანტიკაც იმის მაუწყებელია, რომ ეს სახელწოდებაც ქართული არაა და მტერთა ურიცხვი შემოტევების პროდუქტია, ვინაიდან იგი სპარსული წარმოშობისაა. „ჩაი“ მდინარეს, ხევს ნიშნავს, ხოლო „ლური“ წყალს, ანუ სიტყვათა კომპოზიტის შეერთებით ქართული თარგმანი „ხევის წყალს“ ნიშნავს.

არავინ იცის, ეს ტოპონიმი როდის გაჩნდა და ამ სახელის შემრქმევი ვინ იყო, მსგავსი სპარსულენოვანი და თურქულენოვანი „ნათლიები“ ხომ ბევრი ჰყავდა წინა, შუა საუკუნეებში ქართულ მიწას, ვინაიდან ქართულ მიწაზე თითქმის 15 საუკუნე სპარსეთი (ირანი) ბატონობდა. თუნდაც ავიღოთ XVII საუკუნის I ნახევარი, როცა ირანის სისხლიანმა მბრძანებელმა შაჰ-აბას პირველმა 1614-1616 წლებში მთელი კახეთის მოსახლეობის 2/3 ფიზიკურად მოსპო ან ირანის შორეულ პროვინციებში – ფერეიდანში, მაზანდარანში, შირაზში, აბას-აბადში, ნურისტანსა და ბელუჯისტანში გადაასახლა, ხოლო კახეთში თარაქამა თურქმენების ასეულ ათასობით მეჯოგეთა ტომების წარმომადგენლები ჩამოასახლა. თუ არა 1659 წლის მრისხანე აჯანყება, ქსნისა და არაგვის ერისთავებისა და საგარეჯოს მოურავის – ბიძინა ჩოლოყაშვილის ხელმძღვანელობით, ეს თარაქამა თურქმენები მთელ კახეთს თურქულ პროვინციად გადააქცევდნენ. სასწაულით ცოცხლად გადარჩენილმა გარეკახელმა და მათ შორის მანაველმა, ჩაილურელმა და კაკაბელმა ხალხმა ფშავ-ხევსურეთს შეაფარეს თავი და ხელსაყრელ მომენტს ელოდნენ ნაფუძვარზე დასაბრუნებლად. მათი აყვავებული სოფლები და მთელი ივრისპირეთი იავარქმნილი იყო მტრის მიერ, აყვავებული ბაღ-ვენახები გაკაფული და მეჯოგე თურქმანთა საძოვრებად ქცეული. ნასოფლარებზე მალე ტყე-ბუჩქნარი აღმოცენდა. ეკლესიები და ციხე-სიმაგრეები საძირკვლამდე იყო დანგრეული, მხოლოდ მოხუცების ხსოვნას თუ შემორჩა მათი სახელები...

კახეთი და გარე კახეთი თითქმის 3 ათეული წელი იყო განადგურებული. კახეთის მეფე თეიმურაზ I თავგანწირვით იბრძოდა მტრის წინააღმდეგ და კახეთის აღორძინებისათვის, მაგრამ თითქმის მთელი XVII საუკუნის II ნახევრამდე, XVIII საუკუნის I ნახევარი დასჭირდა კახეთის სამეფოს ოდნავ მაინც მომძლავრებას და საქართველოს სხვა პროვინციებიდან ქართული მოსახლეობის მიგრაციას ძირძველი კახეთის ნაყოფიერ მიწებზე დასასახლებლად.

XVIII საუკუნის კახეთის აღწერის დავთრების მიხედვით სოფელ ჩაილურში უცხოვრია 64 კომლ მოსახლეს, მაგრამ მაშინდელი ჩაილური უფრო ჩრდილოეთით, ცივ გომბორის მთების ფერდობებზე იყო განლაგებული, ხოლო უფრო სამხრეთით ნაყოფიერ მიწებსა და ხოდაბუნებზე განლაგებული იყო მათი ბაღ-ვენახები, პურისა და ქერის ყანები, ბოსტნეული.

სოფელ ჩაილურის ნაწილი თავისი მამულებითა და ყმა-გლეხობით ჯერ კიდევ XVII საუკუნეში კახეთის მეფე ალექსანდრე მეორის, ხოლო შემდეგ თეიმურაზ I მიერ ნაბოძები ჰქონდა კახეთის ფეოდალური გვარის ჩერქეზიშვილებისათვის, ხოლო ჩაილურის მოსახლეობის დიდი ნაწილი იყო კახეთის მეფეთა სახასო ყმა-გლეხთა საკუთრებაში.

ჩაილურში ცხოვრობდნენ თავადაზნაურთა გვარების წარმომადგენლები, რომლებიც დეკლასირებული იქნენ და ჩამორთმეული ჰქონდათ პრივილეგიები. ასეთი გვარების წარმომადგენლები იყვნენ ლოლაძეები და ყავრიშვილები. ყავრიშვილები კახეთში მოხვდნენ ქვემო ქართლიდან, თეთრი წყაროდან, ხოლო ლოლაძეები – იმერეთიდან, ჭიათურის რაიონიდან.

საჯარო სკოლის ღია სპორტული მოედანი

გასული XIX საუკუნის II ნახევარში ჭიათურიდან კიდევ ჩამოსახლდნენ კახეთში ჭერემში, კაკაბეთში, მანავში, თოხლიაურსა და ყანდაურაში დიდი რაოდენობის ჭარბი მოსახლეობა – ჯაჭვაძეები, კუპატაძეები, მარგებაძეები, ჭელიძეები, ფხალაძეები, აბესაძეები და სხვები. ჩაილურს შეემატნენ ასევე ქვემო ქართლიდან კვეზერელები და სხვები.

ჩაილური მოწმეა 1800 წლის 7 ნოემბრის დიდი ბრძოლისა, რომელიც რუს-ქართველთა 7 ათასიანმა ჯარმა გაუმართა დაღესტნის ავარიის ომარხანის 20000-იან ლაშქარს. ეს ბრძოლა მოხდა ჩაილურის (ნიახურას ციხის) მახლობლად და ომარ ხანის ლაშქრის სრული განადგურებით დასრულდა. ამ ბრძოლაში სასიკვდილოდ დაიჭრა თვითონ ომარ ხანი და სარდალი ჯანმუტაი. ეს იყო რუს-ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვება, რომელსაც სარდლობდნენ გენერლები ლაზარევი და გულიაკოვი, ქართველი უფლისწულები იოანე და ბაგრატ ბაგრატიონები.

სოფელ ჩაილურის მშვენებას წარმოადგენს ჩაილურის ციხე, რომელსაც ნიახურას ციხესაც უწოდებენ. ციხე კახეთის საავტომობილო მაგისტრალის მარჯვენა სანაპიროზე, გზიდან 200 მეტრის დაშორებით დგას. უფროსი თაობის წარმომადგენლებს ახსოვდთ, თუ რას წარმოადგენდა ეს ციხე ამ 30 წლის წინ,– სრულიად დანგრეული ნაშთებიღა გადმოჰყურებდა სოფელს.

1982 წელს მაშინდელმა საგარეჯოს რაიონის ხელმძღვანელობამ ზემდგომი ინსტანციების დახმარებით, შეადგინეს გეგმა-პროექტი ციხის აღსადგენად. ამ ინიციატივას აქტიურად გამოეხმაურა რაიონის წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელობა, პატრიოტულად განწყობილი ახალგაზრდობა. ამ სარესტავრაციო სამუშაოებზე „ქუდზე კაცი“ გამოცხადდა. ყველა თავისი ნებით მოვიდა, ხარაჩოები აღმართეს და საქმე სწრაფად წავიდა. იყვნენ ისეთი მამულიშვილებიც, რომლებიც სხვადასხვა არქივებში იქექებოდნენ, ეძებდნენ ამ ციხის ისტორიის დეტალებს. დადგინდა, რომ ნიახურას ციხე უხსოვარი დღიდან იდგა ამ გორაკზე, მაგრამ იგი მრავალჯერ იყო დანგრეული ჩვენი ქვეყნის აგრესორებისგან. იმ ორიოდე სასწაულით გადარჩენილი ციხის კედლის ფრაგმენტიდან უფრო გვიანდელი XVII-XVIII საუკუნეების პერიოდში აღდგენილი ციხის ნაშთები იყო. ციხე აღადგინეს და ფაქტიურად ახლად აშენდა.

საბავშვო ბაღში

მაშინდელი კომუნისტური პარტიის საგარეჯოს რაიკომის I მდივნის მედეა მეზვრიშვილისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს უწინდელ ხელმძღვანელთა თანადგომით შემუშავებული იყო გეგმა-პროექტი ჩაილურის ციხისა და მისი შემოგარენის კეთილმოწყობისა და ტურისტთა კულტურული დასვენების ცენტრად ქცევისათვის, მაგრამ საქართველოში გასული საუკუნის 90-იან წლებსა და მომდევნო პერიოდში შექმნილმა გაუსაძლისმა კრიზისმა არ მისცა საგარეჯოს რაიონს საშუალება, ხორცი შეესხა ამ გეგმა-პროექტის განხორციელებისათვის.

ალექსანდრე ელერდაშვილი,
ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე

გაგრძელება მე-3 გვერდზე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი

სოფელი

დიდი ჩაილური

დასასრული

სოფლის მიწის ფართობი სულ 1030 ჰა.
აქედან
სახელმწიფო – 733 ჰა;
კერძო – 611 ჰა
სახნავ-სათესი – 269 ჰა
მრავალწლიანი ნარგავები – 202 ჰა
საძოვრები – 262 ჰა
მსხვილფეხა საქონელი – 590 სული
წვრილფეხა – 1000 სული
ფუტკარი – 200 ოჯახი
კომლი – 432
აბონენტი – 273
გაყრილი კომლები – 144
სეზონურად მცხოვრებლები – 15
მოსახლეობის რაოდენობა – 1104
აქედან, ქალი – 490
კაცი – 614
სოციალურად დაუცველი – 70 ოჯახი
მარტოხელა დედა – 2 ოჯახი
ქართულ შეიარაღებულ ძალებში – 5 კაცი

საჯარო სკოლა

მენეჯერი

მაია დიდებულიძე

მოსწავლე – 113
პედაგოგი – 22

დიდი ჩაილურის საჯარო სკოლის მშენებლობა გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო. მშენებლობა იმდენად გაჭიანურდა, რომ აქ სწავლა მხოლოდ 2002 წელს დაიწყო. მანამდე სკოლა სოფლის საკრებულოს შენობაში იყო განლაგებული. სკოლის შენობა სამსართულიანია, პირველ სართულზე 12 საკლასო ოთახი ფუნქციონირებს. რაც შეეხება II სართულს, ამ სართულის ფართის „ათვისება“ სკოლის დირექციამ უკანასკნელ ხანს შესძლო. აქ ახლა სპორტული და სააქტო დარბაზებია, არის ინფორმატიკის და საბუნებისმეტყველო კაბინეტები. მესამე სართული კი ჯერ-ჯერობით „დაკონსერვებულია“. სკოლა წლების განმავლობაში „დეფიციტური“ ბიუჯეტის მქონე სკოლათა რიცხვში იყო, ბოლო ხანს კი სკოლების ვაუჩერული დაფინანსების შედეგად სკოლამ შეძლო სასკოლო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაც.

ინგლისური ენისა და ინტერაქტიული სწავლებისათვის სკოლა აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით, აქ არის პროექტორი, ლეპტოპი, 7 კომპიუტერი, მუსიკალური ცენტრი. პირველი გრანტი სკოლამ მოიპოვა დამსახურებულად. მოპოვებულიგრანტით ვიდეოაპარატურა შეიძინეს, II გრანტით სკოლას კეთილმოწყობილი ღია სპორტული მოედანი გაუკეთეს. ორივე პროექტის ავტორი სკოლის დირექტორი მაია დიდებულიძეა. სკოლას ჰყავს 5 სერტიფიცირებული პედაგოგი: ლილი ჯაჭვაძე, შორენა სინჯიკაშვილი, ნადია საგინაშვილი, ეკა ჭიკაძე, ნინო შაქარაშვილი.

სკოლის წარჩინებული მოსწავლეები არიან მეთორმეტეკლასელები: თორნიკე ვახტანგიშვილი, მარი საგინაშვილი, გურამ საგინაშვილი, თამუნა ჯაჭვაძე. სკოლის მოსწავლეებმა, პედაგოგებმა სოფლის მოსახლეობასთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღეს ღვთისმშობლის შობის ეკლესიის (მოძღვარი მღვდელი დავით ბურდული) მშენებლობაზე, რომლის ერთ-ერთი მოთავე და ინიციატორი სკოლის დირექტორი მაია დიდებულიძეცაა. მათთან ერთად ამ მშენებლობაზე აქტიურ ფიზიკურ და მატერიალურ დახმარებას იჩენდნენ ზურაბ მჭედლიშვილი, პაატა ზურებიანი, სულხან მემარნიშვილი, ძაგული კირაკოზაშვილი.

საბავშვო ბაღი

მენეჯერი – თინა შიოშვილი

აღსაზრდელი – 12
მასწავლებელი – 1

ძველი შენობა, რომელშიც დიდი ჩაილურის არაერთი სკოლამდელი თაობა აღიზარდა, იმდენად ავარიული და მოძველებული იყო, რომ მშობლებს ეშინოდათ კიდეც ბავშვების იქ მიბარების... ძველი შენობა 1956 წელს იყო აშენებული.

მიმდინარე სასწავლო წლის დაწყება საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა ბაღის ახლადაშენებულ შენობაში იზეიმეს – აქ სულ რამდენიმე თვეში აშენდა ახალი შენობა, რომელიც კეთილმოწყობილია. შენობაში არის სასწავლო ოთახი, სათამაშო სპორტული ღონისძიებების დარბაზი, სამზარეულო, ოთახი სველი წერტილებით, საკუჭნაოთი, გარდერობი. საბავშვო ბაღი აღჭურვილია ყველა საჭირო საყოფაცხოვრებო ნივთებით. აქ არის ტელევიზორი, პიანინო, მაცივარი, გაზქურა.

საექიმო ამბულატორია

ექიმი ნათელა ნალბანდიშვილი

საექიმო ამბულატორიის შენობა ავარიულია. მისი აღარც შეკეთება შეიძლება და აღარც შერემონტება, თუმცა, მისი გადატანა სოფლის საკრებულოს შენობაში არსებულ სამ ოთახში განსათავსებლად, კიდევ ერთხელ ამ ორიოდე თვის წინ გადაიდო.

სოფლის მეურნეობა

ძირითადი დარგია მევენახეობა. აქაურები რქაწითელთან ერთად უყლიან საფერავის ჯიშის ვაზს, რომელიც უხვმოსავლიანიცაა და მისგან მიღებული ღვინო საქვეყნოდ აღიარებული.

მევენახეობასთან ერთად აქ მარცვლოვანი კულტურები, ბაღჩეული და ბოსტნეული მოჰყავთ.. მისდევენ მესაქონლეობას.

სოფელში აღრიცხვაზეა 26 ტრაქტორი, საიდანაც მხოლოდ ოთხია აქტიური მუშაობის პროცესში, დანარჩენებს კი სათადარიგო ნაწილების დეფიციტისა და უსახსრობის გამო ვერ ამუშავებენ. ხვნა-თესვის დროს მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს პრეზიდენტის მიერ სოფლისათვის ნაჩუქარი ტრაქტორი. სოფელში იყო ერთი კომბაინი, რომელიც უკვე ამორტიზებულია და გამოსულია მწყობრიდან.

ინფრასტრუქტურა

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით აქ 2011 წელს სოფელში არსებული სანიაღვრე არხების 14056 ლარის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა. რაც შეეხება რეგიონებში განხორციელებული პროექტების ფონდიდან განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, აქ 2009-2012 წლებში ნახევარ მილიონზე მეტი ლარის სამუშაოები ჩატარდა: აღდგენილ იქნა მაგისტრალური წყალსადენი, შეკეთდა სასმელი წყლის რეზერვუარი, მოეწყო დიდების მემორიალი, გადაიხურა სოფელში არსებული ეკლესია, შეკეთდა საჯარო სკოლის სააქტო დარბაზი, მოასფალტდა გზა, შემოიღობა რეზერვუარი, შეკეთდა მაგისტრალი, შემოიღობა ეკლესია, მოხდა სასმელი წყლის შიდა ქსელების რეაბილიტაცია, 2012 წელს სასმელი წყლის და რეზერვუარის რეაბილიტაციისათვის გაიხარჯა 23 ათასი ლარი, ხოლო სასაფლაოს მიმართულებით მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გაიხარჯა 1754 ლარი.



სოფლის რწმუნებულია

არჩილ დიდებულიძე

დაიბადა 1963 წელს. დიდი ჩაილურის საშუალო სკოლა დაამთავრა 1980 წელს. 1982-1987 წლებში სწავლობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო მეურნეობის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ მას მეტყევე ინჟინრის სპეციალისტის კვალიფიკაცია მიენიჭა. წლების განმავლობაში მუშაობდა საგარეჯოს სატყეო მეურნეობაში დარაჯად, კულტურების დარაჯად, ტყის მცველად, მეტყევე-ტექნიკოსად. 12 წელი მუშაობდა ჩაილურის სანერგე მეურნეობაში მუშად. 1995 წლიდან მუშაობდა კაკაბეთის სატყეო უბნის უფროსად. შემდეგ კი ეწეოდა შიდა მეურნეობას. 2010 წლის თებერვლიდან დიდი ჩაილურის რწმუნებულია.

ჰყავს მეუღლე – მაია ქევხიშვილი, პედაგოგი, შვილები ლიკა და თენგიზი.

პრიორიტეტები

* საქიმო ამბულატორიის შენობა მნიშვნელოვნადაა მოძველებული, მისი განთავსება საკრებულოს შენობის იმ ოთახებშია შესაძლებელი, რომლებიც გარემონტების შემდეგ ახალი საექიმო ამბულატორიის შენობის აგებამდე მოემსახურება აქაურ მოსახლეობას.
* გასაკეთებელია სოფლის მეორეხარისხოვანი გზები;
* მოსაწყობია გარე განათება;
* ყურადსაღებია ტყის დღევანდელი მდგომარეობა.

სწორედ ამ საკითხებთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ სოფლის რწმუნებულს **არჩილ დიდებულიძეს**:

– ტყე დღეს დიდი ჩაილურელების დიდი გულისტკივილია. ტყე-კაფები უნდა ემსახურებოდეს ბუნებრივი განახლების ხელშეწყობას, ნერგის გაზრდას. როცა ტყეში მცენარეთა სიხშირე დაბალია, იქ აღარ არის ე.წ. „საბუდარი“ ხის გასაზრდელად – მას ან მზე დასწვავს, ან ყინვა დააზრობს. მიწა დაკორდდება და ბალახი ამოდის, რაც ხელს უშლის მცენარის თესლის ჩავარდნას და შემდგომ გადივებაგანვითარებას. არადა, ტყე იჩეხება, რაც ქმნის საშიშროებას მიწის მოწყვეტის. ეს შემთხვევა კი მართლაც მოხდა – ტყის მიწა მოწყდა, დიდმა გორამ გადაკეტა მდინარის კალაპოტი 25 მეტრის სიგანეზე. ჰაერის, წყლის, ეროზიის მარეგულირებელი კი ტყეა, რომელსაც გაფრთხილება სჭირდება.

* * *

კურიოზი:

დიალოგი

ჟურნალისტი: – რა მდგომარეობაშია ბიბლიოთეკა, წიგნადი ფონდი?

არჩილ დიდებულიძე: – 17000 წიგნი ძველი, ნგრევის პირას მისული ბიბლიოთეკის შენობიდან როგორც იქნა, ჩამოვზიდე საკრებულოს შენობაში თავშესაფარად.

ჟურნალისტი: – ვინ არის ბიბლიოთეკარი?..

არჩილ დიდებულიძე: – ბიბლიოთეკარი სწორედ შტატების შემცირების ამბავს შეეწირა და იძულებითი ბიბლიოთეკარი „გამოვდივარ“ მე – თქვენი მონა-მორჩილი.

ჟურნალისტი: – კი, მაგრამ, წიგნადი ფონდი გაქვთ, ოთახი არის, მკითხველი ნუთუ არ ითხოვს წიგნს?

არჩილ დიდებულიძე: – როგორ არ ითხოვს, მაგრამ, მოგეხსენებათ, ეს არჩევნებიო, ეს შემოდგომაო, ეს თამადობაო, მე ვერ ვახერხებ 17 ათასი წიგნის წინასიტყვაობის წაკითხვა-გაცნობას, რომ მკითხველს მისი ასაკის მიხედვით შესაფერისი წიგნი შევთავაზო.

თინა ილაური

საერთაშორისო, რომელთა გამოსწორებაც შესაძლებელია

ასეთი ლამაზი და მიმზიდველი არასოდეს ყოფილა ეს ადგილი. თუმცა, დიდი ხნის წინ აქაურ პარკს აგრონომი ემსახურებოდა. შემდეგ კი, 90-იანი წლებიდან კახეთის ქუჩისა და მიმდებარე ქუჩების მოზარდები აქ თავს იყრიდნენ და ათასნაირ გასართობებს იგონებდნენ. ნელ-ნელა შემოაცვდა ღობე, რომელიც პირუტყვსაც აკავებდა და ავისმდომსაც, ნელ-ნელა გატყიურდა დეკორატიული მცენარეები, რომლებიც ალამაზებდნენ იმ ორ შენობას მარტო ჩვენი რაიონის კი არა, საქართველოს და კავკასიის ისტორიას, კულტურას რომ იტევდა და ინახავდა, დამთვალიერებლებს კიდევ ერთხელ შეახსენებდა – ვინ, რა, როგორი კულტურის ხალხი ცხოვრობდა საგარეჯოს ტერიტორიაზე.

დღეს საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი თავის იუბილეს – 50 წლისთავს (თუმცა აპრილში შეუსრულდა) გალამაზებული შეხვდა, რა სახით? ეზოთი, კორპუსებით, საგამოფენო დარბაზით, თუმცა ყველაფერ ამაზე მუზეუმის დირექტორი **ბადრი დრეიძე** გვეტყვის:

– ჯერ კიდევ გაზაფხულზე ამ ტერიტორიაზე შემოსვლა ყველას და ყველაფერს შეეძლო – არსად ღობე-მესერი, არსად კარები. როგორც ძველები იტყვიან, გაშარავებული იყო აქაურობა. აი, დღეს კი ლამაზი, დეკორატიული ღობეა. გაიკაფა ტყედ ქცეული ერთ დროს დეკორატიული მცენარეების ამონაყარი, დაიგო ქვაფენილი, რომელიც სიმართლე გითხრათ, მართლაც მყარადაა დაგებული, გაკეთდა ველოტრასა, ამფითეატრი, საჭიდაო არენა, სადაც თქვენ თვითონ ხედავთ ნახერხია დაყრილი და საგარეჯოს მომავალ ფალავნებს ელოდება ძალების მოსასინჯად და სხვადასხვა გასართობი სანახაობის საჩვენებლად. ასევე გაკეთდა და კეთილმოწყო ფეხბურთისა და კალათბურთის მოედნები. ტერიტორია საკმაოდ დიდია – 8000 მ2-ს შეადგენს, ისე, რომ ეს ყველაფერი კარგად გადანაწილდა. ამავე ტერიტორიაზე აშენდა საზოგადოებრივი ტუალეტი, რომელიც ცენტრალური კანალიზაციის ქსელშია ჩართული. ქუჩაში და მუზეუმის მთელ ტერიტორიაზეც გაკეთდა შესანიშნავი გარე განათება.



საჭიდაო არენა

რაც შეეხება მუზეუმის ორ კორპუსს, ორივე გარემონტდა – გამოეცვალათ სახურავი, გადახურვა მოხდა თუნუქის სახურავით, შეეცვალა კარ-ფანჯარა – ფანჯრები და შიდა კარებები მეტალოპლასტმასით, ხოლო ცენტრალური კარებები ხის მასალით. გაკეთდა საექსპოზიციო კარადები, მუზეუმში არსებული ექსპოზიციების გამოსაფენად.

– თუ შეიძლება ამ ექსპონატებზე საუბრით დავიწყოთ ჩვენი საუბარი.

– კი ბატონო. როგორც თქვენთვის ცნობილია, ჩვენ გვაქვს ექსპონატები, რომლის საკუთრებასა და პატრონობაზე იოცნებებდა და ოცნებობს კიდეც ნებისმიერი რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. დამეთანხმებით, რომ ბრინჯაოს ხანის ექსპონატებზე ხელმისაწვდომობას მსოფლიო მნიშვნელობის მუზეუმიც იოცნებებდა. თუმცა არც უახლოესი წარსულის ექსპონატები აკლია მუზეუმს. სულ ახლახანს საგარეჯოელმა ვასიკო ჯაფარიძემ სპეციალურად ჩვენი მუზეუმისათვის თუშეთში ჯარა შეიძინა და გვაჩუქა. თამარ ჯაბადარმა – ქართული აკვანი, თამარ უსტიაშვილი-ქვლივიძემ კი ჩვენს წ. აღ-მდე XIV საუკუნის თიხის პატარა ვაზით გაამდიდრა საგარეჯოს ქრისტიანობამდელი კულტურის პატარა კუთხე.

– XIV საუკუნის და თანაც ჩვენს წელთადირცხვამდე?

– დიახ. როგორც ქნმა თამარმა აგვიხსნა, ყორუღში მუშაობისას ივრის წყალს

საგამოფენო დარბაზი

ეს ნივთი ჩამოურეცხია და თამარმა თავად გადაწყვიტა – საექსპონატო ნივთი იმ მუზეუმში უნდა ანცვიფრებდეს დამთვალიერებელს, რომლის ტერიტორიაზეც ამ ნივთის შემქმნელი ცივილიზაცია ცხოვრობდაო. თანაც, როგორც არქეოლოგი და მკვლევარი კიაზო ფიცხელაური ვარაუდობს, ყორუღის არქეოლოგიური მასალა ჩვენს წ. აღ-მდე XIV-XIII საუკუნეებს უნდა მიეკუთვნებოდეს, ხოლო არქეოლოგისა და მეცნიერის იულონ გაგოშიძის აზრით, ეს ნივთები ჩვენს წ. აღ-მდე XIII-XII საუკუნეებს.

ბრინჯაოს ნივთები ასევე უხვად იყო აღმოჩენილი აგრეთვე საგარეჯოს ე.წ. ფერდოსუბნისა და სოფელ პატარძეულის ტერიტორიაზე, თუმცა იმის გამო, რომ ერთ პერიოდში თითქმის დაუცველი იყო მუზეუმი, საგარეჯოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ჩვენივე მუზეუმის კუთვნილი სამუზეუმო ექსპონატი – ბრინჯაოს რაპირა, დღესაც სიღნაღის მუზეუმის სპეციალურად მხოლოდ მისთვის გამოყოფილ ვრცელ დარბაზშია წარმოდგენილი.

– მადლობა უფალს, ისევ ქიზიყში, ჩვენთან ახლოს და არა საზღვარგარეთ... ცოტა ღირებული ნივთი დაიკარგა ჩვენი მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან?! ყველას ახსოვს 2010 წლის დანაკარგები...

– კი, როცა 2010 წელს მუზეუმის შენობა გაძარცვეს, აქედან უკეთურთა ხელითაა გატანილი 1823 წელს გამოცემული „სახარება“, 1887 წლის ქართველიშვილის რედაქციით გამოცემული ვეფხისტყაოსანი, საბჭოთა კავშირის გენერალ-მაიორის პანტელეიმონ შიოშვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისათვის გადმოცემული 20 ორდენი, საბრძოლო ბინოკლი, მისი კუთვნილი იაპონური კატანა, რომელიც იაპონელმა მეოთხე შტაბის უფროსმა ომში დანებების ნიშნად პანტელეიმონ შიოშვილს გადასცა, ასევე იმ დროს დაიკარგა პანტელეიმონ შიოშვილისათვის კენიგსბერგის ციხის კომენდანტის მიერ წელიდან შემოხსნილი და დანებების ნიშნად გადაცემული ვერცხლის ხმალი. აღარც საგარეჯოელი ამაგდარი პედაგოგის დარია ივანეს ასული მაისურაძის მიერ მუზეუმისათვის გადაცემულ მელხიორის მოვერცხლილ სინს უნახავს იმ დღის შემდეგ მუზეუმის კედლები. მე მაშინ კულტურის სახლში ვმუშაობდი და მახსოვს ეს ვანდალური ძარცვა როგორ მძიმედ მოხვდა გულზე საგარეჯოელ ინტელიგენციას.

სპორტული მოედანი

– თუმცა მაშინაც და ახლაც მუზეუმს ჰყავდა და ჰყავს დარაჯი...

– რა თქმა უნდა, მაგრამ აქ დაცვის სხვა ფორმაც უნდა გამოინახოს – შენობის ცენტრალური კარებები ხის მასალისაა. თქვენც ხედავთ, არც ფანჯრებზე არის დამცავი გისოსები, სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისას აქ ბევრი ნიუანსი იყო გასათვალისწინებელი, მაგრამ, მოგეხსენებათ, სამუშაოები ძალიან სწრაფად და მოკლე ვადაში ჩატარდა. ამას ის პროექტები ითვალისწინებდა, რა პროგრამებითაც საერთოდ ქვეყანაში სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობდა, ამიტომ ბევრი რამ კვლავ გასაკეთებელი რჩება ჩვენთან, თუნდაც ის, რომ სასმელი წყლის ქსელი საკანალიზაციო ქსელთან ერთად მუზეუმის ტერიტორიაზე უკვე გაკეთებულია, მაგრამ, რა? წყალი დღემდე არ არის ტერიტორიაზე შემოყვანილი მარტივი მიზეზის გამო – რადგან თავდაპირველად ტერიტორიაზე უნდა დაგებულიყო ქვაფენილი, კეთილმოწყობილიყო კოინდარის გაზონები... სასმელი წყლის მილები კი დღემდე მისაერთებელია სასმელი წყლის ცენტრალურ მილზე, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, მუზეუმის ტერიტორიის გარეთაა. საამისოდ კი საჭირო პროცედურებია გასავლელი შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ რეგიონალური ფილიალის საგარეჯოს ქსელის ცენტრში. აღნიშნული საზოგადოება კი ფართომასშტაბიან მუშაობას იწყებს გამრიცხველიანებისა და ახალი სისტემის სამშენებლოდ და ჩვენი ჩართვაც მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი, რაც დიდ დროს მოითხოვს.



მუზეუმის ეზოში

აქვე ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ საექსპოზიციო მასალებისათვის საგამოფენო დარბაზში კარადები იატაკიდან ისეა გაკეთებული, რომ დამთვალიერებელთა შორის თითქოს მხოლოდ სკოლის მოსწავლეების სიმაღლეა გათვალისწინებული. გასათვალისწინებელია აკუსტიკაც. საერთოდ, მუზეუმის შენობა ცოტა სპეციფიკურია. აქ ბევრი რამაა გასათვალისწინებელი – განათება, ტემპერატურა, სინოტივე, აკუსტიკა... ყოველივე ეს უნდა გაეთვალისწინებინათ დამპროექტებლებს...

P.S. როგორც პროექტის ავტორმა გვითხრა საუბარში, დაპროექტებაც და სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებიც ერთობ შემჭიდროებულ ვადებში მოხდა, მაგრამ ტენდერში გამარჯვებულ სამშენებლო ორგანიზაციას და დამკვეთს შორის დადებულ ხელშეკრულებაში არის შეთანხმება, რომ სამშენებლო ორგანიზაციას თავის მიერ აშენებულ თუ რეაბილიტირებულ ობიექტზე ერთი წლის ვადით ევალება იქ არსებული ხარვეზების გამოსწორება. ასე, რომ არსებული ხარვეზების გამოსწორება სრულიად შესაძლებელია, მაგრამ იქ გამოიკვეთა სხვა ნიუანსებიც, რომლის შესრულებასაც თანხების დამატება სჭირდება, – განაცხადა საუბარში პროექტის ავტორმა გია გურგენიძემ.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ახალი შემართებით სამუშაო პრინციპებით

ლია ბურჯანაძე

საგარეჯოს სამუსიკო სკოლას ოთხ ათეულ წელზე მეტია ტრადიციებით მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. ეს ტრადიციები მავანს შეიძლება ჩვეულებრივად მიაჩნდეს, მაგრამ ეს სულაც არ არის უბრალოდ შესახედი და აღსაქმელი. აქ ის პედაგოგები მოღვაწეობენ, რომელთაც საკმაო წლები აკავშირებდათ ბატონ ჯემალ ბურჯანაძესთან, პიროვნებასთან, რომელიც თავისი ყოველდღიური ცხოვრებით ალამაზებდა, ამშვენებდა საგარეჯოს – თავისი ინტელექტით, ნიჭით, კაცთმოყვარეობით და უსაზღვრო სიყვარულით მამულის, ქართველობის მიმართ. ამიტომაც, თითოეული პედაგოგის მუშაობა თითქოს ამ პიროვნების ნათელ ხსოვნას ეძღვნება – იღწვიან, იხარჯებიან იმგვარად და ისე, რომ მათი სკოლის კურსდამთავრებულებს მუსიკის ცოდნასთან ერთად დიდხანს მიჰყვებათ პედაგოგების სითბო და სიყვარული.

დღეს ჩვენი ნომრის სტუმარია საგარეჯოს სამუსიკო სკოლის მენეჯერი **ლია ბურჯანაძე**, რომელიც სკოლის მუშაობის შესახებ გვესაუბრება:

– სკოლაში 210 მოსწავლე გვყავს, აქედან 38 პირველკლასელია. 37 მოსწავლე გაზაფხულზე დაამთავრებს ჩვენს სკოლას. სკოლაში 22 პედაგოგი ემსახურება მოსწავლეთა აღზრდა-განათლებას. მათგან 18 ფორტეპიანოს სპეციალობით მუშაობს, 4 თეორიულ საგნებს ასწავლის. გვაქვს 11 საკლასო ოთახი და საკონცერტო დარბაზი. სკოლა განთავსებულია ორსართულიანი შენობის I სართულზე. ახალი სასწავლო წელი დავიწყეთ ჩვეული რეჟიმით. I სემესტრში ვმუშაობთ ჩვენი სამუშაო პრინციპის მიხედვით: ესენია ჩათვლები, დახურული კონცერტები, ახლადმიღებული ბავშვების მოსმენა-შემოწმება I სემესტრის ბოლოს. გეგმაში გვაქვს აგრეთვე საშობაო კონცერტის ჩატარება, რომელსაც ვატარებთ ყოველ წელს. ასეთივე პროგრამას გავდივართ II სემესტრშიც, რასაც ემატება გამოცდამდე დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების მოსმენა-შემოწმება, ხოლო წლის ბოლოს დაგეგმილია საანგარიშო კონცერტის ჩატარება და თითოეული პედაგოგის კლასის საჩვენებელი შიდა კონცერტი. სწავლების პერიოდში ვატარებთ კონკურსებს, მასში გამარჯვებულ ბავშვებს ვაჯილდოვებთ სიგელებით და ზოგჯერ ფასიანი საჩუქრებითაც. მონაწილეობა მიღებული გვაქვს ქ. თელავში ჩატარებულ ფესტივალებში, სადაც მონაწილეობა მიიღეს პედაგოგების : ნელი ყანჩაშვილის, მირცა ჯაფარიძის, ნინო ნაცვლიშვილის მოსწავლეებმა.

ასევე მივიღეთ მონაწილეობა ქ. თბილისში მუსიკალურ ეროვნულ ცენტრში ჩატარებულ ფესტივალზე „გზა პარნასისკენ“ პედაგოგ მ. ჯაფარიძის კლასმა.

გასულ წელს კი ქ. ბოლნისში ჩატარდა: ფესტივალი „ერთი ცის ქვეშ“, სადაც მონაწილეობა მიიღო პედაგოგ ნელი ყანჩაშვილის მოსწავლემ.

სკოლას მიღწეული წარმატებებისთვის მიღებული აქვს მადლობები, სიგელები, ფასიანი საჩუქრები. ჩვენი მოსწავლეები ადგილზე დავაჯილდოვეთ სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით. გვყავს ფრიადოსანი მოსწავლეები, რომელთა აღსაზრდელად ჩვენი სკოლის პედაგოგები არ იშურებენ თავიანთ ცოდნას და გამოცდილებას. ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულთაგან ბევრმა გააგრძელა სწავლა სამუსიკო სასწავლებლებში, კონსერვატორიაში, სამუსიკო ათწლედში და სამუსიკო პედაგოგიურ ინსტიტუტში. აქედან ზოგი უკვე ჩვენი სკოლის პედაგოგია, ზოგი კი სწავლას აგრძელებს. გასულ სასწავლო წელს მართლაც საუკეთესო კურსდამთავრებულები გვყავდა. აი ისინიც: მაგდა ივანიშვილი, სალომე მღებრიშვილი, ნათია ივანიშვილი, თინიკო ჯაბანიშვილი, ანა გულიკაშვილი (ფორტეპიანოს კლასი), ნუცა გოდერძიშვილი (ვიოლინოს კლასი). მათ არც დღევანდელი მოსწავლეები ჩამორჩენიან წარჩინებულ სწავლაში: ნინო ადუაშვილი, მარიამ ესაიაშვილი, თინათინ დალბაშვილი, მედეა სიფროშვილი, ნინი გაბროშვილი, ლია ჭიაბერაშვილი, ნუცა მეზვრიშვილი, სალომე შაქარაშვილი.

პედაგოგი მირცა ჯაფარიძე მოსწავლეებთან გაკვეთილზე

ჩვენი თანამემამულე – ჩვენეგური ფესვებით
ევროპის ჩემპიონობას მსოფლიოს პრიზიორის ტიტულიც მიუმატა

ჩვენი სახელოვანი პატარძეულელი ფალავნის, ევროპის სამგზის ჩემპიონისა და მსოფლიო და ოლიმპიური თამაშების პრიზიორის გივი ონაშვილის შვილიშვილის, საქართველოს ძიუდოისტთა ახალგაზრდული ნაკრების მძიმეწონოსანი წევრის – ლევან მატიაშვილის სპორტული წარმატებების შესახებ ჩვენმა გაზეთმა „გარეჯის მაცნემ“ არაერთხელ მიაწოდა ინფორმაცია სპორტის ამ სახეობით დაინტერესებულ მკითხველს. სახელოვანი პაპის შვილიშვილობასთან ერთად, ლევანი ჩვენი თანაქალაქელი და ამ ახლო წარსულში საგარეჯოში ცნობილი ძალოსანის ამბროსი მატიაშვილის ვაჟია, თავისი დიდი პაპისაგან განსხვავებით, რომელმაც გვიან დაიწყო ჭიდაობა და ეს ტიტულები დიდებში მოიპოვა, ლევანი ახალგაზრდობაში იმკის ევროპისა თუ მსოფლიო ტატამების „მოსავალს“: შარშან სექტემბრის თვეში ბელგიის ქალაქ ლომელში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატზე ლევანს ერთი ნაბიჯიღა დააკლდა კონტინენტის ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად, მხოლოდ ერთი გაფრთხილებით დათმო ჩემპიონობა ავსტრიელ დანიელ ალერსტოფერთან. სამაგიეროდ, ლევანმა წარმატებით იასპარეზა ამა წლის აპრილის თვეში საბერძნეთის ქალაქ მუნლანაში გამართულ „ილიადისის თასის“ (ჯარჯი ზვიადაურის) საერთაშორისო ტურნირში, სადაც გახდა ამ პრესტიჟული შეჯიბრების გამარჯვებული.

20 სექტემბერს ევროპის ვიცე-ჩემპიონობის წლისთავზე ლევანმა შარშანდელი ჩავარდნისათვის რევანში აიღო, ხორვატიის ქ. პორეჩში გამართულ ევროპირველობაში +100 კილოგრამ წონით კატეგორიაში გახდა ევროპის ჩემპიონი. ამ ასპარეზობაში მან ხუთი შეხვედრა გამარტა, საიდანაც 4 დიდი უპირატესობით მოიგო, ერთში კი დამატებითი დრო დასჭირდა. პირველ შეხვედრაში მან ვაზარით დაამარცხა ესტონელი სილკეერი, თურქი მეტოქე სეჰიმ ადმინი იპონით დაამარცხა, რუსი პიტერ კავოკინი ორი გაფრთხილებით ჩამოიშორა გზიდან, ბოლო ორ შეხვედრაში კი ორი უკრაინელი ძიუდოისტი დაჯაბნა. ნახევარფინალში ანდრეი კოლესნიკოვი დაამარცხა, ფინალში კი ნიკიტა დიბრინინი დააიპონა.

ამ რამდენიმე კვირის წინ ლევანმა თავის ევროპის ჩემპიონობას მსოფლიო გუნდურ ჩემპიონატში მოპოვებული მესამე პრიზიორის ტიტულიც შემატა. ეს ტიტული მან ბრაზილიის ქალაქ სალვადორ დე ბარში გამართულ მსოფლიო გუნდურ ჩემპიონატზე მოიპოვა, რომელშიც მსოფლიოს 14 ქვეყნის ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ. მათ შორის მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონები ფრანგები, იაპონელები, ინგლისელები, რუსები, სამხრეთ კორეელები, კუბელები, ბრაზილიელები. ამ ასპარეზობაში ლევანი საქართველოს ნაკრების ღირსებას +90 კილოგრამ წონით კატეგორიაში იცავდა. კენჭისყრით საქართველოს ნაკრებს პირველი შეხვედრების გამართვა იაპონელებთან და ფრანგებთან მოუწიათ. ქართულ-იაპონური გზა მეოთხედფინალში გადაიკვეთა . იქამდე საქართველოს ნაკრებმა 5:0 გაანადგურა დიდი ბრიტანეთის ნაკრები. მაგრამ ვერას გახდნენ ძიუდოს მშობლიური ქვეყნის წარმომადგენლებთან. ამის შემდეგ ქართველებმა იმარჯვეს კუბის ნაკრებთან ორთაბრძოლაში, სადაც გადაწყდა მესამე ადგილისათვის ბრძოლის ბედი.

„ბრინჯაოსათვის“ ბრძოლაში ქართველების მეტოქე სამხრეთ კორეის ნაკრები აღმოჩნდა, რომელიც 3:2 დაამარცხეს და გახდნენ მსოფლიო გუნდური გათამაშების პრიზიორები.

ბ. დაბახიშვილი

19 ნოემბერს კაცების საერთაშორისო დღე აღინიშნა

19 ნოემბერი კაცების საერთაშორისო დღეა. მამაკაცებისთვის განკუთვნილი ეს დღესასწაული 1960-იან წლებში დაარსდა. ამ დღესასწაულის დამფუძნებლების აზრით, კაცების საერთაშორისო დღეს ყურადღება უნდა მიექცეს კაცების დისკრიმინაციის პრობლემებს, ოჯახში მათ უფლებებსა და განათლებას.

უამრავ ქვეყანაში მამაკაცთა უფლებების დამცველი ორგანიზაციები 19 ნოემბერს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს მართავენ. ბოლო რამდენიმე წელია ამ დღეს მსოფლიოს მასშტაბით იმართება სემინარები, დემონსტრაციები და მსვლელობები, არტ-გამოფენები და მრგვალი მაგიდები.

საბჭოთა საქართველოში კაცების დღედ 23 თებერვალი, საბჭოთა არმიის დღე მიიჩნეოდა.

ექიმი სპეციალისტი გვირჩევს

დადგა გრიპების დრო

აცივება და ჰაერის ტემპერატურის დაცემა მხოლოდ დისკომფორტს კი არა, გაციებასაც იწვევს. სწორედ ამ პერიოდში ხშირდება ზემო სასუნთქი ორგანოების ვირუსული დაავადებები, განსაკუთრებით კი გრიპი.

გრიპი ინფექციური დაავადებაა, რომელიც მიმდინარეობს ზოგადი ინტოქსიკაციის მოვლენებით და ხანმოკლე ცხელებით. გრიპის ინკუბაციური პერიოდი 1-2 დღე გრძელდება. დაავადება იწყება უეცრად. გრიპის ვირუსი სასუნთქ სისტემაში მოხვედრისთანავე იწყებს მოქმედებას, ამიტომ აუცილებელია, მკურნალობა სიმპტომების შემჩნევიდან პირველი 24 საათის განმავლობაში დავიწყოთ.

გრიპი გადაეცემა ჰაერწვეთოვანი გზით. ინფექციის წყაროა დაავადებული ადამიანი. გარშემომყოფთა დაინფიცირების საშიშროება მეტია დაავადების პირველ დღეებში. შემდეგ კლებულობს. დაავადებას ახასიათებს სეზონურობა. იგი ძირითადად წლის ცივ თვეებში ვრცელდება.

ავადმყოფს დასაწყისში უვითარდება სისუსტე, მტეხავი ტკივილები კუნთებსა და სახსრებში, თავის ტკივილი, ტემპერატურა 38-40 გრადუსამდე. ცხელება შეიძლება გაგრძელდეს 3-6 დღე. გრიპს ახასიათებს აგრეთვე ტკივილი თვალ-ბუდის არეში, ხველა, გაჭედილი ცხვირი.

გრიპით დაავადებულ ავადმყოფთა უმრავლესობა სახლის პირობებში მკურნალობს; ეფექტურია დიდი რაოდენობით სითხეების მიღება, ოფლმდენი საშუალებები, ინჰალაციები. ადრეულ სტადიაზე ეფექტურია იმუნოსტიმულატორები და იმუნომოდულატორები: ოქსილინის მალამო, ინტერფერონის წვეთები, ბრონხოიმუნალის ტაბლეტები და სხვა. საჭიროების შემთხვევაში უნდა მიიღონ პარაცეტამოლის შემცველი საშუალებები და ანტიჰისტამინური პრეპარატები. მაგრამ არ შეიძლება მიიღონ ანტიბიოტიკები ექიმის დანიშნულების გარეშე.

გართულების შემთხვევაში აუცილებლად უნდა მიმართონ ექიმს. განსაკუთრებით რისკ-ჯგუფებში შემავალმა ადამიანებმა. ბავშვებმა, ორსულებმა, ხანდაზმულებმა, აგრეთვე მათაც, ვისაც გულსისხლძარღვთა პრობლემები აწუხებთ.

ცხელების პერიოდში გრიპით ავადმყოფი უნდა იწვეს. აუცილებელია ავადმყოფის იზოლაცია. ოთახი, სადაც იგი წევს, ხშირად უნდა განიავდეს, დასუფთავდეს სველი წესით. ავადმყოფის მომვლელმა უნდა გაიკეთოს ოთხფენიანი დოლბანდის ნიღაბი, რომელიც ყოველ 3-4 საათში იცვლება.

გრიპით დაავადებული ადამიანი, უმეტეს შემთხვევაში, 3-5 დღეში იკურნება, მაგრამ საერთო სისუსტე, შრომის უნარის დაქვეითება ავადმყოფს უფრო დიდხანს გაჰყვება.

გრიპის საწინააღმდეგო სპეციფიკური პროფილაქტიკური საშუალება – გრიპის ვაქცინაა, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია დაავადება ავიცილოთ თავიდან პირადი ჰიგიენის და ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვით:

– მოერიდეთ კონტაქტს იმ ადამიანებთან, რომლებიც თავს შეუძლოდ გრძნობენ, აღენიშნებათ ცხელება და ხველა.

– ეცადეთ, არ შეეხოთ იმ ზედაპირს, რომლებიც შეიძლება იყოს დაბინძურებული ვირუსებით.

– ხშირად და საფუძვლიანად დაიბანეთ ხელები საპნით.

ეცადეთ იცხოვროთ ჯანსაღი ცხოვრების წესით.

– იყოთ კარგ ფიზიკურ ფორმაში, ვინაიდან უდიდესი მნიშვნელობა აქვს ორგანიზმის გაკაჟებას. თუ ორგანიზმი გაუკაჟებელია, იგი ადვილად ცივდება, რაც ხელს უწყობს გრიპის განვითარებას.

– თავი აარიდეთ სტრესებს, მიიღეთ საკმარისი რაოდენობით სითხე და ვიტამინების შემცველი საკვები.

– და რაც მთავარია, დარჩით სახლში სიმპტომების გამოვლენიდან 7 დღის განმავლობაში. ეს ხელს შეუწყობს თქვენს დროულ გამოჯანმრთელებას და თქვენს ახლობლებსა და სხვა ადამიანებს დაავადებისაგან დაიცავთ, შეზღუდავთ ვირუსის შემდგომ გავრცელებას.

მართალია, ჯანდაცვის სამინისტრო ამ სეზონზე არ ვარაუდობს გრიპის ეპიდემიას, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი წესების დაცვით, ზოგადად დავიცავთ ჩვენს ჯანმრთელობას.

ლელა ოთარაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი

ენერგიის განახლებადი წყაროები და ჩვენ

მზის კოლექტორები მანავში

ენერგიის განახლებად წყაროებს დიდი ხანია იცნობს და იყენებს კაცობრიობა. ევროპისა და სხვა წამყვანი ქვეყნების მოსახლეობა საუკუნეებია, რაც წარმატებით იყენებს ქარის, წყლის, მზის და სხვა ენერგიის სიკეთეს, როგორც იაფ და ეკოლოგიურ საწვავს. რაც შეეხება საქართველოში ამ წყაროების გამოყენების პრაქტიკას, გასული საუკუნის 80-იანი წლების შემდგომ დაიწყო და ახლა ბიოგაზებისა და მზის ენერგიის სიკეთით ბევრი ადამიანი სარგებლობს. ამ კუთხით გარკვეული ნაბიჯებია გადადგმული ჩვენს მუნიციპალიტეტშიც, სადაც კარგი ხელშემწყობი ბუნებრივი პირობებია ქარისა და მზის ენერგიების გამოსაყენებლად. არსებული პირუტყვის და მცენარეული საფარის ნარჩენები კარგ მასალას იძლევიან ბიოგაზის მისაღებად და ადამიანის სამსახურში ჩასაყენებლად. ამ ბოლო წლებში ამ კუთხით მოსახლეობის გათვითცნობიერებისათვის ბევრ მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებენ სხვადასხვა ქვეყნების მიერ დაფინანსებული საქართველოს შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციები. ქ. საგარეჯოსა და მუნიციპალიტეტის სოფლებში სააგიტაციო კამპანიას ეწევა ე.წ. ენერგოავტობუსი, სადაც დაინტერესებულ მოსახლეობას ვრცელი და ამომწურავი ინფორმაცია მიეწოდება ენერგიის თითოეული წყაროს მიღების, გამოყენებისა და პრაქტიკაში დანერგვის შესახებ. ამ მუშაობის გამოძახილია, რომ საგარეჯოში რამოდენიმე მოსახლე უკვე იყენებს მზის ენერგიას თავისი საოჯახო საჭიროებისათვის.

მზის გამათბობელი ბატარეებისა და ენერგიის საოჯახო პრაქტიკაში დასანერგად თითქმის ერთი წელია, რაც მანავში არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს მწვანეები“ ახორციელებენ პროექტს, რომლის ფარგლებში რამდენიმე მოსახლეს დაუმონტაჟდა და უკვე იყენებს მზის კოლექტორებს. ერთ-ერთი მათგანია ნიკოლოზ ტაბატაძე, რომელსაც ვთხოვეთ გაეზიარებინა თავისი შთაბეჭდილებები მზის ენერგიის გამოყენების სიკეთეზე.

– ბ-ნო ნიკო, დიდი ხანია, რაც აღნიშნული კოლექტორი დაამონტაჟეთ და იყენებთ?

– არა, სულ რაღაც რამდენიმე თვეა, რაც მე ამ სიკეთით ვსარგებლობ და უნდა აღვნიშნო, რომ ძალზე კმაყოფილი და მადლიერი ვარ პროექტის ავტორებისა და კოლექტორისაც, რომელიც საშუალებას მაძლევს ოჯახში თითქმის ყოველთვის მქონდეს ცხელი წყალი. ცხელი წყალი კი, მოგეხსენებათ მუდამ საჭიროა სახლში.

– პირველ რიგში მკითხველს ალბათ დააინტერესებს, თუ რა პირობებში ან როგორ ამინდში მუშაობს კოლექტორი?

– მზის გამათბობელი თითქმის ყოველგვარ ამინდში მუშაობს, აქედან თუ მზიანი და ცხელი დღეა, წყალი თითქმის 90 გრადუსამდე ცხელდება, ისე რომ თუ არ განაზავე ცივ წყალთან, ვერ მოიხმარ. ნაკლებად მზიან ამინდში 60-70 გრადუსამდე თბება წყალი, ღრუბლიან ამინდში იმდენად თბება, რომ წყალი მოტეხილია და სახმარად ვარგისი. ერთი სიტყვით, ჩემმა ოჯახმა ამ ბატარეის დამონტაჟების შემდეგ აღნიშნული პრობლემისაგან, როგორც იტყვიან ამოისუნთქა.

– მზის გამათბობელის სიკეთის შესახებ კარგა ხანია ცნობილია მოსახლეობისათვის, მაგრამ სათანადო თანხების უქონლობის გამო მისი დამონტაჟებისაგან თავს იკავებდნენ. თქვენ რა დაგიჯდათ აღნიშნული სიამოვნება?

– მე, როგორც პროექტის მონაწილეს, უფასოდ დამიმონტაჟეს. ისე, მისი მოწყობა 1000 ლარამდე ჯდება, მაგრამ იმხელა შედავათს იძლევა, რომ შეიძლება ცოტა მეტიც გაიღოს ადამიანმა. ეს სისტემა წლების განმავლობაში მუშაობს და თითქმის უფასო გამოდის, იმასთან შედარებით, რაც წყლის გაცხელება უჯდება ჩვეულებრივი გამათბობლების საშუალებით ადამიანს. ამასთან ერთად იგი ეკოლოგიურადაც სრულიად უსაფრთხოა.

– ბინის გასათბობადაც თუ შეუძლია გამოიყენოს იგი ადამიანმა?

– არა, მაგრამ ცხელი წყალი, რომ მუდამ გაქვს ადამიანს, ესეც დიდი სიკეთეა და შეღავათი. ფაქტიურად მე ცხელ წყალს უფასოდ ვიღებ და არც დრო მეხარჯება მის გათბობაზე.

– ბიოგაზის მოწყობაც ხომ არ გიცდიათ?

– ბიოგაზის მიღება არ მიცდია, მაგრამ მაქვს ე.წ. სვანური ღუმელი, რომელიც რამდენიმე წლის წინ დავამზადებინე საგარეჯოში და ძალზე კმაყოფილი ვარ. იმის გარდა, რომ კარგად ათბობს ბინას, იგი ძალზე ეკონომიურია. თქვენ წარმოიდგინეთ, თუ ადრე ჩვეულებრივი შეშის ღუმლის გამოყენებისას ორი მანქანა შეშა მჭირდებოდა, ახლა ერთი მანქანაც მყოფნის მთელი ზამთრის გასატანად. ერთი სიტყვით მეზოგება ოჯახის ბიუჯეტი, ფაქტიურად ამით იზოგება ჩვენი ტყეც.

გივი დაბახიშვილი

ხარვეზები,

რომელთა გამოსწორებაც შესაძლებელია

<u>დასასრული</u>

<u>თამაზ ძვლივიძე</u> – შპს „გალავანი 2008“-ის დირექტორი: ჩემს მიერ ყველა სამუშაო შესრულდა პროექტის მიხედვით, მაგრამ ამასთან ერთად, შესრულდა დამატებითი სამუშაოები, რომელიც არ იყო პროექტით გათვალისწინებული, მაგრამ ამ სამუშაოების შესრულებაზე დამკვეთ ორგანიზაციასთან შემჭიდროებული ვადების გამო ხელშეკრულება იმ დროს, ე.ი. დროულად ვერ გაფორმდა. ამ დამატებითი სამუშაოების შესრულებაში კი იგულისხმება შემდეგი: პროექტში გათვალისწინებული იყო მუზეუმის ტერიტორიის შემოღობვა ფოლადის მილით, მაგრამ გულახდილად გეტყვით, რომ ამ შემთხვევაში ფოლადის მილმა ვერ გამოაჩინა არქიტექტურული სახე, ის სილამაზე, რაც ეკუთვნოდა მუზეუმს, ამიტომ იგი შეიცვალა ძველი ქართული აგურის წყობით. აქ ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, რომ დაგვჭირდა 7500 ცალი აგური, ხელფასი მუშახელის, ტრანსპორტირება, ინერტული მასალა და ა.შ. ასევე, პროექტის იქით, ტერასებად მოეწყო დეკორატიული ქვის წყობა, ამასთან ტროტუარზე საყრდენ კედლად არ იყო არაფერი გათვალისწინებული, გაკეთდა 110 გრძივი მეტრი დეკორატიული ქვის წყობა. ასევე დამატებით გაკეთდა დეკორატიული ქვის წყობით საფეხურები, მეტალოკონსტრუქციის ჭიშკარი და სხვა სამუშაოები. ამასთან ერთად, ჩავატარეთ შემდეგი სამუშაოები: მიწის შემოტანა და გაზონებში მიწის მოფენა, 60 კმ-დან შემოვიტანეთ შავი, ფხვიერი მიწა (არადა 100მ3 – 5 კმ-დან იყო პროექტის მიხედვით გათვალისწინებული, მაგრამ ეს მიწა იყო ყვითელი, თიხანარევი, რომელიც არ გამოდგებოდა გაზონებისათვის). გაზონებზე 260 მ3 მიწა კიდევ დამატებით მოიფინა. ჩვენ შევასრულეთ („გალავანი – 2008“) სხვადასხვა წვრილმანი სამუშაოები, რომლებსაც ნაჩქარევად გაკეთებული პროექტი არ ითვალისწინებდა. ეს პროექტი მართლაც ნაჩქარევად გაკეთდა, ძალიან ბევრი რამ სწორედ ჩვენი, შპს „გალავანი-2008“-ის ინიციატივით გავაკეთეთ.ვფიქრობდი, რომ საგარეჯოელი ვარ, მუზეუმის სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოების ჩატარება ცოტა სხვანაირად უნდა დაპროექტებულიყო. ამიტომ გადავწყვიტე ჩემი წვლილიც გამეღო და სამუშაოების ჩასატარებლად აუცილებელი იყო გამეკეთებინა ყველაფერი ისე, როგორც საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ეკადრება და მიესადაგება. ჩვენ შევასრულეთ დამატებითი სამუშაოები, რომლის ღირებულებაზე თანხა დამკვეთ ორგანიზაციას დღემდე არ ჩაურიცხავს...

რედაქციის მხრიდან კი დავამატებდით, რომ საგარეჯოს ძვემო უბნელების მოსახლეობამ მართლაც შესანიშნავი სპორტული არენა, ამფითეატრი, საბავშვო ველოტრასა მიიღო. თვალს ახარებს კეთილმოწყობილი გაზონები, გალამაზებული შენობები. ვისურვებდით, რომ სასმელი წყალი დროულად იძნას შეძვანილი ტერიტორიაზე და ბევრი და რაც შეიძლება ბევრი დამთვალიერებელი ჰყავდეს მუზეუმს.

ჩაიწერა
თინა ილაურმა

წმინდა გიორგი— საქართველოს მფარველი

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია წელიწადში ორჯერ - 23 აპრილსა (6 მაისი) და 10 ნოემბერს (23 ნოემბერი) - ზეიმობს დიდმოწამე გიორგის ხსენებას. ნოემბრის გიორგობას მართლმადიდებელ სამყაროში მხოლოდ საქართველოს ეკლესია აღნიშნავს, რადგან წმინდანის საგვემელ ბორბალზე წამება სისასტიკით ჯვარცმასაც არ ჩამოუვარდება.

წმ. გიორგის ბორბალზე წამება

ეშმაკმა დიოკლეტიანესა და მის მომხრეებს მეტი მზაკვრობა ჩაუნერგა გულში. მათ შიშველი გიორგი დააკრეს მბრუნავ ურმის თვალზე, რომლის ქვეშაც წვერბასრი რკინის მახვილები იყო აღმართული, ხოლო როდესაც ძლიერად დაატრიალეს ბორბალი, წმინდანის სხეული ნაკვეთ-ნაკვეთ დაიჭრა,მაგრამ ლოცვითა და ღმრთის სასოებით განმტკიცებული მოწამე მხნედ დაითმენდა საშინელ ტანჯვა-წამებას: პირველად ხმამაღლა მადლობდა უფალს, ხოლო შემდეგ, როგორც მძინარე, დადუმდა და გულში ლოცულობდა. მეფის ბრძანებით მოწამე დაჭრილი და დაკუწული სხეულით დატოვეს ურმის თვალზე და თვითონ სასამხროდ წავიდნენ. ზეციდან მოისმა საშინელი ოხვრის ხმა, რომელიც ეტყოდა მას: „განმხნევდი, გიორგი, და განძლიერდი, რამეთუ მრავალი მიწამებს შენს გამო", და როგორც კი მცველებს ეს ხმა მოესმა, შეშინებულები გაიქცნენ. უეცრად გამოჩნდა უფლის ანგელოზი, გიორგი ჩამოიყვანა სატანჯველი ბორბლიდან, სრულიად განკურნა, ეამბორა და უთხრა: „გიხაროდეს გიორგი, განძლიერდი და გწამდეს იესო ქრისტესი, რომელიც მოგანიჭებს მოწამეობის სრულ გვირგვინს", ხოლო,როდესაც სიტყვა დაასრულა, წმინდა გიორგიმ მადლობა შესწირა უფალს: „აღგამაღლო შენ, ღმერთო ჩემო და მეუფეო ჩემო და ვაკურთხო სახელი შენი უკუნისამდე". და კვლავ „სლვანი ჩემნი წარმიმართენ მე სიტყვითა შენითა და ნუ მეუფლებინ მე ყოველი უშჯულოებაი". ამის შემდეგ ქრისტეს მოწამე მივიდა ბომონში, სადაც მეფე თავისი თანამზრახველებითურთ მსხვერპლსა სწირავდა აპოლონის კერპს და უთხრა მათ: „მიცანით მე და ირწმუნეთ ღმერთი, რომელსაც მე გიქადაგებთ და რომელმაც გამომიხსნა თქვენი ხელიდან და იმ სატანჯველთაგან, რომელიც თქვენ განამზადეთ ჩემს მოსაკლავად და აი თქვენ კი დიდად სცოდავთ, როცა მსხვერპლსა სწირავთ ცრუ ღმერთებს". გაოცებულმა მეფემ ვერ შეიცნო წმინდანი,რადგან მისი მსგავსი ვინმე ეგონა და სთხოვა, ეთქვა, თუ ვინ იყო. წმინდა გიორგიმ მიუგო: „მე ვარ გიორგი, მონა ქრისტესი,ხოლო თქვენ,რადგანაც მკვდარი გეგონეთ, ნაწილ-ნაწილ დაჭრილი, ბორბალზე მიმატოვეთ. და აი,მე მოვედი,რათა გიჩვენოთ, რომ ჩემს ღმერთს, რომელსაც თქვენ აყვედრეთ,შეუძლია სიკვდილისაგან დახსნა".

როდესაც დედოფალ ალექსანდრას წმინდა გიორგის დიდი და საკვირველი საქმენი ესმა,ირწმუნა უფალი იესო ქრისტე, წარსდგა მეფესთან და კადნიერად განუცხადა: „მე ქრისტიანი ვარ და გიორგის ღმერთის მხევალი". მეფე განრისხდა და ბრძანა,რათა წმინდა გიორგი ახლად დამბალ, მხურვალე კირის ორმოში ჩაეგდოთ და მცველები დაეყენებინათ. სამი დღის შემდეგ კი უბრძანა მხედრებს, ამოეკრიფათ მკვდრის ძვლები და მიწაში დაემარხათ. მას ეშინოდა, რომ ქრისტიანებს პატივი არ ეცათ მისი სხეულისთვის, რადგან იცოდა მათი ჩვეულება მოწამეთა განდიდებისა. გაოცებულმა მხედრებმა გიორგი სრულიად უვნებელი იხილეს და იწამეს იესო ქრისტე. ერის დიდმა სიმრავლემ და ასევე იქ მისულმა დედოფალმა ალექსანდრამაც აღიარეს ჭეშმარიტი ღმერთი და ერთხმად დაადებდნენ: „დიდია ქრისტიანთა ღმერთი, რომელიც დაიხსნის თავის მონებს გასაჭირისაგან". ხოლო მეფემ წინ დაისვა წმინდა გიორგი, შემოიკრიბა ირგვლივ თავისი ოჯახის წევრები და ჰკითხა წმინდანს: „გვითხარი გიორგი, ვინ გაგაცოცხლა შენ?" წმინდა გიორგიმ მიუგო: „მეფეო, კიდეც რომ გითხრათ, არ დამიჯერებთ, მაგრამ მე არ დავფარავ, რომ იესო ქრისტემ, ღმერთის ძემ, დამიცვა მე ყოველგვარი სატანჯველისაგან და იგია ეშმაკის მახისაგან ყველას დამხსნელი, ვინც კი ვედრებით მოუხმობს მის წმინდა სახელს". მაგრამ გამძვინვარებულმა მეფემ, ჭეშმარიტების სანაცვლოდ, უსამართლობა და ბოროტება მიაგო მოწამეს. მან გახურებული ლურსმნებით შეჭედილი რკინის სანდლები ჩააცვა გიორგის და უბრძანა ერბინა, მაგრამ, რადგან სიარული ვერ შეიძლო, ძალით ათრევინა. ის კი საკუთარ თავს მხნედ შეუძახებდა: „ისწრაფე, გიორგი, ისწრაფე იმ ხვედრისაკენ, რომელიც შენთვის არის განმზადებული". და სთხოვდა უფალს: „უფალო ჩემო და ღმერთო ჩემო,იესო ქრისტე,შენ ხარ მწუხარეთა ნუგეშინისმცემელი და შენ აძლევ მოთმინების უნარს ყველას,ვინც შენი სახელისათვის იგვემება. ნუ გამწირავ,არამედ მომმადლე სიკვდილამდე მოთმინება,რათა არა სთქვას მტერმა: „სადა არს ღმერთი იგი მისი". როდესაც ლოცვა დაასრულა, ხმა მოესმა ზეციდან: „ნუ გეშინია, გიორგი, მე შენთანა ვარ". და მყის გამოუჩნდა შეწევნა უფლისაგან და სრულიად განიკურნა. უგუნურმა მეფემ კვლავ ბრძანა მისი საპყრობილეში ჩასმა, ხოლო მეორე დღეს სამსჯავროზე მოიხმო და უთხრა: „როდემდე გაუძლებ გრძნეულებით ამ სატანჯველებს და შეინარჩუნებ მხნეობას? დამემორჩილე და შესწირე მსხვერპლი ღმერთებს". მაგრამ წმინდა გიორგიმ ასე მიუგო: „მე ჩემი ღმერთის შეწევნით მოვითმენ ყოველგვარ სატანჯველს, და აი თქვენს წინაშე ვდგავარ ცოცხალი და უვნებელი, ხოლო თქვენ მოწამე ხართ ჩემი ღმერთის ძალისა". მეფე განრისხდა და ბრძანა,რათა შეუბრალებლად ეცემათ საქონლის ძარღვებისაგან დამზადებული მათრახით, ხოლო როდესაც უმოწყალოდ გვემეს, კვლავ შესთავაზეს კერპებისთვის მსხვერპლის შეწირვა, მაგრამ გიორგიმ მიუგო: „მე ცოცხალ ღმერთს ყოველდღე ვწირავ ქება-დიდების მსხვერპლს და ნეტავი თქვენც დამიჯერებდეთ და ჩემთან ერთად თაყვანს სცემდეთ ჭეშმარიტ ღმერთს". მაგნეტიოსმა უთხრა: „თუ გინდა,რომ შენი ღმერთი ვიწამოთ,გვიჩვენე სასწაული და გააცოცხლე ერთი მკვდართაგანი,რომლებიც ჩვენ წინ სამარხებში არიან". წმინდა გიორგიმ უპასუხა: „ღმერთს,რომელმაც არა არსისაგან შექმნა ცა და ქვეყანა,შეუძლია ამ მკვდრის გაცოცხლებაც, მაგრამ თქვენ ცთუნებული ხართ ეშმაკისაგან და კიდეც რომ აღდგეს მკვდარი, თქვენ მაინც არ იწამებთ, ამიტომაც, მხოლოდ აქ მყოფი ერისათვის შევთხოვ კაცთმოყვარე უფალს, რომ მომმადლოს ეს სასწაული". წმინდა გიორგიმ მუხლი მოიდრიკა, ილოცა, ხელები აღაპყრო ზეცისკენ და უფალს შეევედრა მკვდრის აღდგინება. ხოლო, როდესაც ლოცვა დაასრულა, ქვეყანა შეიძრა, საფლავის კარი გაიღო და გამოვიდა გაცოცხლებული მკვდარი. იგი მივიდა წმინდა გიორგისთან, დავარდა მის ფეხებთან და შეევედრა მას: „შემიწყალე მე, მონაო ღმრთისა მაღლისაო და მომანიჭე მე ნათელი ცხოვრებისა, ბეჭედი ქრისტესი". წმინდანმა უთხრა მას: „უკეთუ გწამს ქრისტე, რომელიც აღადგენს მიცვალებულებს, შენც ცხონდები". ხოლო მან უპასუხა: „მე მწამს ჭეშმარიტი ღმერთი და მისი მხოლოდშობილი ძე, იესო ქრისტე,რომელმაც მკვდრეთით აღმადგინა".

წმ. გიორგის განსაკუთრებულ თაყვანისცემას საქართველოში ჯერ კიდევ IV საუკუნის დასაწყისში დაედო საფუძველი. ძველთაგანვე საქართველოს, წმინდა გიორგის ქვეყანას, გეორგიას უწოდებდნენ. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კირიონის ცნობით წმინდა გიორგი კაბადოკიელი მესხი იყო, ხოლო წმინდა არსენ იყალთოელის მოწმობით, წმინდა ნინო - საქართველოს განმანათლებელი, დიდმოწამის ბიძაშვილი იყო და ქართველმა ერმა მისგან შეიტყო წმინდა გიორგის მოწამეობის შესახებ. სავარაუდოა, რომ პირველი ტაძარი წმინდანის სახელზე ბოდბეში, წმინდა ნინოს თაოსნობით აიგო (ბოდბის მონასტრის მთავარი ტაძარი წმინდა გიორგის სახელობისაა). მისი სახელობის ტაძრები აგებულია არა მარტო ქალაქებსა და სოფლებში,არამედ კლდეებზე,მთის მწვერვალებზე და მიუვალ ადგილებში,რომელთა კედლებს ამშვენებენ მისი ცხოვრებისა და სასწაულების გამომსახველი უძველესი ფრესკები. წმინდა გიორგის სახელზე აგებული უამრავი ტაძრიდან ერთ-ერთი უძლიერესთაგანია შავნაბადას წმინდა გიორგის ეკლესია, რომლის შესახებ არსებობს გადმოცემა, რომ ერთხელ, უსჯულო მტრის შემოსევისას ქართველთა მცირერიცხოვანი ლაშქარი, დაბანაკებული იმ მთის ძირში, რომლის წვერზეც წმინდა გიორგის ეკლესია იყო აგებული, გულმხურვალედ ევედრებოდა წმინდა მოწამეს მოსალოდნელ ბრძოლაში შეწევნას. ხოლო გამთენიისას ყველამ იხილა მხედარი, რომელიც შურდულივით დაეშვა მთის წვერიდან, ეს იმდენად შთამბეჭდავი სანახავი იყო, რომ თავზარდაცემული მტერი გაიქცა. გამხნევებულმა ქართველმა მეომრებმა ადვილად დაამარცხეს მტრის განახევრებული ლაშქარი. გამარჯვების შემდეგ სიმამაცით გამორჩეული მეომარი, რომელიც მთის წვერიდან დაეშვა, მხედართმთავარმა შავი ნაბდით დაასაჩუქრა. როდესაც ყველანი სამადლობელი პარაკლისის გადასახდელად ტაძარში შევიდნენ, შავნაბდიანი მხედარი სულ მთლად გაბრწყინდა და ყველამ შეიცნო წმინდა დიდმოწამე გიორგი. მას შემდეგ ამ მთას შავნაბადას მთას უწოდებენ, ხოლო მთის წვერზე აშენებულ ეკლესიას, შავნაბადას წმინდა გიორგის ეკლესიას.

ასევე, მოწამის ხილულ შეწევნაზე დიდგორის ბრძოლაში, მოგვითხრობს დავით აღმაშენებლის მემატიანე: „რამეთუ ხელი მაღლისაი შეეწეოდა და ძალი ზეგარდამო ჰფარვიდა მას და წმიდა დიდმოწამე გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილველად წინა-უძღოდა მას და მკლავითა თვისითა მოსრვიდა ზედა-ზედა მოწევნილთა უშჯულოთა წარმართთა,რომელ თვით იგი უშჯულონი და უმეცარნი მოღმართ აღიარებდეს და მოგვითხრობდეს სასწაულსა ამას მთავარმოწამისა გიორგისასა". ხოლო ქართველი ერისათვის ეს დღე ბოროტზე უფლის ბრწყინვალე გამარჯვების სიმბოლოდ იქცა. წმინდა გიორგი ითვლება მხედართა, მიწისმოქმედთა, მწყემსთა და მოგზაურთა მფარველად. მას ევედრებიან აგრეთვე დემონური ძალებისაგან გამოხსნას. წმინდა გიორგი ყველაზე უფრო პატივცემული წმინდანია საქართველოში. იგი ქართველთა მფარველი და სასო,მათი ფარი და მახვილია. ღმრთის განგებით ქართველი ერი უშუალო მფარველობისათვის ჩაბარდა წმინდა გიორგის, ამიტომაც წმინდა გიორგის დაუჯდომლის იკოსს დაემატა მუხლი: „გიხაროდენ უძლეველო წინამბრძოლო ქართველთა ერისაო და მფარველო ჩუენისა ეკლესიისაო".

წმიდა გიორგის სიკვდილისწინა ლოცვა-ვედრება ღმრთისადმი

***უფალო ღმერთო ჩემო, რომელი ხარ შემოქმედი ყოველთა საუკუნეთაი,რომლისა მიმართ მოვიელტოდე სიყრმით ჩემითგან, რომელი უწინარეს თხოვისა მისცემ ნიჭთა შენთა მოყუარეთა შენთა, ყოვლად ძლიერო და სახიერო და კეთილო ქრისტეანეთა სასოებაო და უტყველო მონათა შენთაგანთა აღთქმაო, რომლისა-ეგე დიდებაი გამოუთქმელ არს და სუფევაი დაუსრულებელ, შენ, უფალო, ისმინე ჩემი, რომელმან მომმადლე მე ღვაწლსა ამას წამებისასა ვიდრე აღსასრულამდე სრულყოფაი და ტანჯვათა შინა მოთმინებაი. აწცა, სახიერო, შეიწყნარე სული ჩემი და იხსენ იგი ეშმაკთა მთგან განმკითხველთა, რომელნი არიან ჰაერთა შინა, და სათნოთა შენთა თანა შემრაცხე მე და შეუნდვე წარმართთა ამათ, რაოდენიცა რაი ძლიერი ყვეს ჩემდა მომართ და ნეტართა მათ მონათა შენთა, რომელნი-იგი სახელისა შენისათვის იწამნეს, და განანათლენ ესენი ცნობითა ჭეშმარიტებისა შენისაითა, რამეთუ ყოველთა კაცთა გნებავს ცხორებაი და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსლვაი.*

მოხედე, უფალო, სიმდაბლესა ზედა ჩემსა და მომმადლე თხოვაი ესე ჩემი, რომელსა ვითხოვ შენგან, რამეთუ ვინაითგან მრავალნი ვლიან, რათა მიიღონ ძვალთა ჩემთაგან, ამისთვის შეუვრდები მოწყალებასა შენსა. მოეც, უფალო, მადლი ძვალთა ჩემთა, რათა ყოველი კაცი, რომელი სარწმუნოებით იხილვიდეს და შეიმთხვევდეს, მოაქვნდეს მას მადლი და კურთხევაი და შენდობაი ცოდვათაი. და უკეთუ ვინმე ჩვენებასა იხილვიდეს ანუ დგეს საშჯელსა შინა საშინელსა და მოიხსენოს სიმდაბლე ესე ჩემი, ყავ განთავისუფლებაი მისი, თვინიერ ჭირისა და განსაცდელისა. და რაჟამს მოიღრუბლოს ცათა სეტყვად ქვეყანისა და მოიხსენონ მუნ მდგომარეთა წამებაი ესე ჩემი, ნუ მივალნ ადგილსა მას ჰაერი მავნებელი, არამედ ცვარი მშვიდობისაი იყავნ საკურნებელად მათა. უფალო, ღმერთო, მოეც მადლი, რომელი იხსენებდეს წამებასა ღვაწლისა ჩემისასა და ნუ იყოფინ შეკრვაი სულთა და ხორცთა მათთაი, ნუცადა კეთროვანებაი ასოთა მათთა,ანუ თუ სხვაი რაიმე წყლულებაი, რომელი იყოს მტერისა მიერ, არამედ მიუტევენ შეცოდებანი მათნი და განკურნენ სალმობანი მათნი,ვითარცა სახიერმან და კაცთმოყვარემან ღმერთმან, რამეთუ შენ მხოლომან უწყი, ვითარმედ ხორც და სისხლ არიან და შენ თავადმან იცნი ალაგნი კაცთანი და შენ უწყი, უფალო, მაცთური მათი მტერი და სიბოროტე მისი, რომელი-იგი შემუსრე ქვეშე ფერხთა მათთა ადრე. და ნუ იყოფინ ბრალი და ბიწი ყოველი, რომელი იკითხვიდეს, გინა ისმენდეს წამებასა ჩემსა. გარდამოუვლინე, უფალო, შეწევნაი მვედრებელთა შენთა და მიეც მათ შიში შენი და სურვილი წმიდათა შენთა სიყვარულისაი, რათა აღასრულებდენ სახსენებელსა მათსა და მიემსგავსნენ სარწმუნოებასა მათსა, რათა დირს იქმნენ მათ თანა ცხორებასა ზეცისასა და სუფევასა საუკუნესა, რამეთუ შენი არს სუფევაი, ძალი და დიდებაი მამისა და ძისა და წმიდისა სულისაი აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

საგარეჯოელები საქართველოს შეიარაღებულ ძალებში

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახურს ძალზე დიდი მნიშვნელოვანი და საპატიო მისია აკისრია – ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში ჩვენი მუნიციპალიტეტიდან სათანადო შევსების, ჯანსაღი და სამხედრო სამსახურისათვის ვარგისი წვევამდელების გაწვევა. ეს კამპანია, როგორც ცნობილია ორ ეტაპად – წვევამდელთა საშემოდგომო და საგაზაფხულო გაწვევის დროს ტარდება. თუ როგორ ასრულებს ამ, თავისზე დაკისრებულ მისიას ეს სამსახური, ამას მის უფროსთან ქვემოთ მოტანილი საუბრიდან შევიტყობთ.

– ჩვენი სამსახური ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი იმათთგანია, ვინც ყოველთვის წარმატებით ასრულებს წვევამდელთა სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაწვევის გეგმას, – აღნიშნა ჩვენთან საუბარში ამ სამსახურის უფროსმა **მირიან დოდონაძემ**. გამონაკლისი არც მიმდინარე წელია. ზემდგომი და სხვა სათანადო ორგანოების დახმარებით ნოემბრის შუა რიცხვებისათვის კახეთის რეგიონში პირველებმა შევასრულეთ წვევამდელთა გაწვევის გეგმა ყველა პარამეტრის მიხედვით. ახლა კი გეგმის ზევით ვმუშაობთ. ისე, რომ 4 დეკემბრისათვის, როცა მთავრდება სამხედრო სავალდებულო სამსახურში საშემოდგომო, და რა თქმა უნდა, წლიური გაწვევის ვადები, ჩვენ გეგმაზე გაცილებით მეტი წვევამდელი გვყოლება გაწვეული ქვეყნის ძალოვან სტრუქტურებში.

მათ შორის აზერბაიჯანელი სოფლებიდანაც გვყავს გაწვეულები.

– გაწვევა ყველა ასაკის წვევამდელს შეეხო, თუ იყო გარკვეული ასაკი?

– მოქმედი კანონმდებლობით სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევას ექვემდებარება 18-დან 27 წლის ასაკამდე ყველა ის წვევამდელი, რომელთაც კანონი არ ანიჭებს ამ სამსახურიდან გათავისუფლების ან გადავადების უფლებას. აქედან გამომდინარე, გაწვეული გვყავდა ყველა ის წვევამდელი, რომლებიც შედავათებით არ სარგებლობდნენ.

– ცნობილია, რომ წვევამდელებს უფლება აქვთ სპეციალური მოსაკრებლის საშუალებით მიიღონ სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გადავადება. თუ ისარგებლა ამ შეღავათებით წელს ვინმემ?

– წელს ასეთი 23 წვევამდელი გვყავდა, რომელთაც 2000 ლარიანი მოსაკრებლის მეშვეობით მიიღეს წელიწადნახევრიანი გადავადება. ანუ მათი მეშვეობით სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილია 46 ათასი ლარი.

– ალბათ გაწვევისაგან თავის ამრიდებელი წვევამდელებიც გეყოლებათ?

– სამწუხაროდ ასეთებიც არიან, რომლებიც ცდილობენ რამენაირად აარიდონ თავი სამხედრო-სავალდებულო სამსახურს, მაგრამ ასეთების გზა მოკლეა და მათთვის კარგად არასოდეს მთავრდება. რაც შეეხება მათ რაოდენობას, ამ საშემოდგომო გაწვევაზე 94 ასეთი წვევამდელია. ისინი არ გამოცხადდნენ გამწვევ კომისიაზე, ამიტომაც მათი საქმეები გადაცემული გვაქვს პოლიციაზე. მათი საქმეები გამოძიებულ იქნება და სასამართლო ყველას თავის წილს მიუზღავს.

– როგორც ცნობილია, მიმდინარე წლიდან სამხედრო-სავალდებულო სამსახური 15 თვიანი გახდა. შეეხება თუ არა წლეულს გაწვეულ წვევამდელებს ეს კანონი?

– წელს გაწვეული ყველა წვევამდელს სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლა 1 წლისა და 3 თვის განმავლობაში მოუწევთ. ასეა წელს და რა იქნება მომავალში, ამას ახალი წლის შემდეგ შევიტყობთ.

გივი დაბახიშვილი

როცა ქალაქს სძინავს

50 წელიწადია დიდი ერთგულებითა და სიყვარულით ემსახურება თავის საქმეს. როცა ჯერ კიდევ ღრმა ძილით სძინავს ქალაქს, როცა ჩიტსაც არ გაუღვიძია თავის ბუდეში, თამარ დეიდა, როგორც მას საგარეჯოელები სიყვარულით ეძახიან, უკვე თავის სამუშაოზეა. დიახ, 50 წელია თამარ ლაფაჩიშვილი ქალაქის ცენტრში ჟურნალ-გაზეთების ჯიხურიდან საგარეჯოს საზოგადოებას ახალ-ახალ ჟურნალ-გაზეთებს აწვდის. ამ ხნის განმავლობაში მის ხელში რა გაზეთსა და ჟურნალს არ გაუვლია. არც წაუკითხავს დატოვებს რომელიმეს, ჯიხურთან მისულს სულ დაწვრილებით გადმოგვცემს, სად, რა ინფორმაციაა განთავსებული. საოცარი სიზუსტით ახსოვს, ვინ რა ჟურნალ-გაზეთს კითხულობს, ზოგჯერ ანცვიფრებს კიდეც მკითხველს – სანამ მოიკითხავდეს სასურველ გაზეთს ან ჟურნალს, თამარ დეიდას მისთვის გამზადებული აქვს უკვე. ბოლო წლებში კი სხვადასხვა გამომცემლობების წიგნების რეალიზაციის საქმეც

ინტერვიუ

შეემატა. არასდროს შეეშლება, ვის რომელი გამომცემლობის წიგნი მიაქვს. მართლაც საოცარია, რამდენი დასახელების ჟურნალ-გაზეთი, წიგნი მოდის ჯიხურში, რამდენი და რანაირი გემოვნების მკითხველია?! მაგრამ ასე სცოდნია საქმის სიყვარულს. ამ ხნის მანძილზე არც თავისი ოთხი შვილის – ოთხი ვაჟის აღზრდასა და დახმარებისათვის დაუკვლია რამე. მათგან სპორტსმენებიც ჰყავს, ქორეოგრაფებიც და ქართული ტრადიციების პატივისმცემელი თაობებიც.

თამარ დეიდას ნოემბერში 85 წელი შეუსრულდა. ვულოცავთ საგარეჯოელ პრესისა და წიგნისმოყვარულთა სახელით. დიდხანს ემსახუროს თავისი საყვარელი საქმისათვის ისეთივე პასუხისმგებლობითა და რუდუნებით, როგორც ამ 50 წლის მანძილზე.

თინა ილაური

ირინა ახალი კონკურსის მონაწილეა

საგარეჯოელი ირინა ბაირამაშვილი, ყოფილი „ჯეოსტარელი“ კვლავ თავის შესაძლებლობებს ცდის კონკურსში „ახალი ხმა“, რომელმაც უნდა გამოავლინოს ნიჭიერი, სიმღერების ახლებურად შემსრულებელი ახალგაზრდები. პირველ ტური მან შესანიშნავად გაიარა, იმდენად კარგად, რომ ჟიურის წევრებმა თავდაპირველად ვერ „გაიყვეს“ ირინა, მაგრამ, როცა მან მომდერალი ნინო ჩხეიძე აირჩია „მწვრთნელად“, ჟიურის დანარჩენ წევრებს მერაბ სეფაშვილს, მაია დარსმელიძეს, სტეფანეს ნამდვილად დასწყდათ გული. დათო ფორჩხიძემ „პროტესტის“ ნიშნად დარბაზი დროებითაც კი დატოვა. არც დუტა სხირტლაძის თავგამოდებამ და ირინას დათოსკენ გადაბირების ჟესტმა უშველა დათოს... ირინამ აირჩია ის, ვინც გულით უნდოდა, ჟიურის წევრთაგან გამოხატულმა დიდმა სიყვარულმა კი ისე დააბნია, რომ თავისი არჩევანი გაამართლა – ბებიაჩემს ძალიან უყვარს ნინოო...

მეორე ტურში – დუეტის კონკურსში ირინამ თავისი კონკურენტი მართლაც რომ დიდი შესაძლებლობებით „დაჯაბნა“ და შემდეგ ტურში გადასვლის შანსი დამსახურებულად მოიპოვა.

წარმატებები ჩვენს ირინას, კიდევ ერთხელ გაეხარებინოს დედისა და კახელების გული თავისი გამარჯვებებით.

თინა ილაური

ხსოვნა სიკვდილზე ძლიერია

ავთო და ვასიკო გიგაშვილები

იყო დრო, როცა მხიბლავდა გვიანი შემოდგომის ფოთოლცვენა, ჩამოწოლილი ღრუბლები და ნისლი. რატომ? იმიტომ რომ, შენ დაიბადე, ჩემო იმედო, ჩემო ვასიკო. შენ მომანიჭე ეს რომანტიული გრძნობა. ასეთი იყო 1999 წლის გიორგობის დღე – 23 ნოემბერიც, შენი დაბადების დღის 28 წლის უკანასკნელი აღნიშვნა. მაშინ, როცა ჩვენ უკვე 6 წლის დამწუხრებულები ვიყავით შენი ძმის – 27 წლის ავთოს ტრაგიკული სიკვდილით. კიდევ უარესი დაგვემართა 1997 წელს, როცა მამათქვენმა ვერ გადაიტანა შვილის სიკვდილი და მძიმე ავადმყოფობით გარდაიცვალა. ნოემბრის ამ დღეს პირველად გაბედეთ ძმებმა შენ და გიამ შეძლებისდაგვარად ცხოვრების ჩვეულებრივ რიტმში გადასულიყავით. მაგრამ... გავიდა რაღაც ხუთიოდე თვე და შენმა მუხანათურად დაჭრამ ლამაზ გაზაფხულს – აღდგომისა და გიორგობის დღესასწაულზე დამთხვევით დიდი ტანჯვით დაგათმობინა სიცოცხლე დაუქორწინებელ ახალგაზრდას, შენივე გაწეული სიკეთის სანაცვლოდ. აი, მაშინ ჩამობნელდა კიდევ უფრო ირგვლივ ყველაფერი, ვაი, ჩემს მოსწრებას. ახლა მხოლოდ ჩემს ტკივილთან და ტანჯვასთან ასოცირდება ღრუბლიანი და ბურუსიანი ამინდი უსასრულოდ... მაგრამ ის დიდი სევდა და მოვალეობა, რასაც უმწეოდ დარჩენილი ავთოს ცოლ-შვილის თვალებში ვხედავდი, ის გვერდში დგომა და ზრუნვა, რაც გაითავისა თქვენმა ცალად დარჩენილმა ძმამ, ბიძათქვენებმა, ჩემმა შვილიშვილებმა, შვილთაშვილებმა, მთელმა საახლობლომ, თქვენმა სამეგობრომ, არ მომცა საშუალება უმოქმედოდ მეარსება, თავი დავივალდებულე, ძალა მომეკრიბა და ისევ შრომით შევბრძოლებოდი ამ უბედურებას. ასე ილევა უთქვენოდ ჩემო საყვარელო შვილებო მე-18 წელი. მაგრამ, რა თქმა უნდა, მაინც ვერ შევძელი ის, რომ ობლებს ობლობა არ დატყობოდათ. თქვენს კარ-მიდამოს უთქვენობა, ასეთი ყოფილა სიკვდილი.

ნათელში იყოს თქვენი სული, თქვენ მანდ განისვენეთ, რადგანაც ასე ინება ბედისწერამ. აქ კი უფალს ვთხოვ თქვენს საახლობლოს, სამეგობროს ბედნიერ სახეებს ხედავდეს ყველა.

დედა

სოფელი კაკაბეთი

განცხადება

იყიდება

ქ. საგარეჯოში (მერაბ კოსტავას ქ. №16), იყიდება საკარმიდამო-სააგარაკო მიწის ნაკვეთი.

ფასი შეთანხმებით.

ტელეფონები: 595-17-05-71; 591-17-05-71; 0790-17-05-71.

ალექსანდრა მიხეილის ასული მირცხულავა



ექვსი წელი გავიდა იმ ავადსახსენებელი დღიდან, სევდა, ტკივილი და მწუხარება რომ მომაყენა. შენმა წასვლამ ძალიან დამწვიტა გული. ყოველთვის დიდი ყურადღებით გამოირჩეოდი თანამშრომლების, მეზობლების თუ ნათესავების მიმართ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული, უფალმა დაგიმკვიდროს სასუფეველი.

შენი შვილი
ნათელა მირცხულავა

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842 577 951 488

ელ. ფოსტა: garejismacne1@hotmail.com

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და თანაგრძნობას უცხადებს უსათნოეს და უკეთილშობილეს პიროვნებას, ექიმ ციცი ზაქარიაშვილს შვილის

პაატა მარატის ძე პიტიურიშვილის

გარდაცვალების გამო.

• •

ციცინო ექვთიმიშვილი და ნუგზარ გურჯიძე ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ციცი ზაქარიაშვილს შვილის

პაატა პიტიურიშვილის

გარდაცვალების გამო.